

ՀԵՆՆԵՐ

ՅԵՐԱՅԱԿԻ
ՆՈՇՎՈՐՈՅՑ





პიონერი

ხაბ. ალექს ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით
ხაბ. განსახკომის მართებური შურნაღი.

დეკემბერი 1938 წ. № 12

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61

შინაარსი

	გვ.
1. ი. ბერკოვიჩი — ბავშვობა ურუშუმში (ნარკვევი თარგმანი ელ-ისა)	1
2. ლილია მებრედიძე — პავლიკ მოროზოვი (ლექსი)	3
3. 5 დეკემბერი — (წერილი)	4
4. გრიგოლ ნოზაძე — ნაძვის ხესთან (ლექსი)	5
5. მუხრან ლეგანიძე — პატარების ნაძვის ხე (ლექსი)	5
6. ნინო ნაძარცვა — უღუ და თეთ (მოთხრობა)	6
7. დ. ბროდსკაია — ლიდა კარასევის დღიური (ნაწყვეტები, თარგმანი შ. თაბუკაშვილისა)	9
8. ე. გიორგაძე — ატომის ნაამბობი (ნარკვევი)	14
9. გასართობი	გარეკანის მე-3 გვ.
10. თ. შავმერჯანაშვილი — გუგული (ნოტი)	გარეკანის მე-4 გვ.

ქრონალი გაფორმებულია მხატვ. ი. ქოქიაშვილისა, დონისა და
ყდის მხატვრობა—კ. გველიშვილისა.
კ. ხვეინის მიერ



ბავშვთა ურთუმეო

3380

ს. ა. პიროვის მოწაურობის წლები

დიდი პროლეტარული რევოლუციონერი სერგეი ძიონის-ძე კიოოვი დაიბადა 1886 წლის 27 მარტს. ბავშობის წლები მან გაატარა ურთუმეოში, ვიატკის ოლქში (ახლანდელი კიროვის ოლქი). ეს პატარა სამაზრო ქალაქი მეტად მიყრუებული იყო, გადაკარგული პრიურალიეს უღრან ტყეებში. ეს მხარე კარგად იყო ცნობილი რევოლუციურ წრეებში — ამ ადგილებში ასახლებდნენ ასეულ გმირებს.

კიროვის მამა არ ახსოვდა. 1889 წელს მირონ ივანეს-ძე კონსტრიკოვი ურალზე წავიდა სამუშაოს საქმენელად და აღარ დაბრუნებულა, უკვალოდ დაიკარგა. ოჯახს თავს დაატყდა აუწერელი სიღარიბე. ბავშვებს — ანიუტას, სეროიჟასა და ლიზას — ზრდიდა დედა, ეკატერინა კუზმინინა, ანუ კუზმოვნა, როგორც ეძახდნენ მეზობლები და ნაცნობები. ის მუშაობდა დღიურ მუშად ჩინოვნიკებთან და ვაჭრებთან, რეცხავდა სარეცხს, იატაკებს, კერავდა.

თითქმის ყოველდღე დილიდანვე მიდიოდა დედა სამუშაოდ, ბავშვები კი მარტოდმარტო რჩებოდნენ. მათი სახლის გვერდით პოსტოვალოვის ქუჩაზე ბაკები იყო. ოთხი წლის სეროიჟას ყველაზე უფრო ცხენები იზიდავდა. ცხენებთან მას არ უშვებდნენ, ის დაბრუნდებოდა შინ, მოაბამდა თოკს ძველი შეღებილი სკამის ზურგს და აქანებდა მას, იქნებდა მათრახს, უწრუბუნებდა და ყვიროდა, რაც შეეძლო ხმამაღლა:

— ჰა, ჯაგლაგავ, ჰა!

შემდეგ დაიწყებდა კედელზე მუშტების ცემას და ეძახდა მეზობლის ბიჭს:

— სანკა, წამოდი, ციგით ვისრიალოთ!

— შენ ვერ წამოხვალ, შენი ნაბდის ჩექმები დახეულია.


— ეს არაფერია, ნახვრეტებს ჩვრებით ამოვტენი, — უპასუხებდა სეროიჟა.

ის მზიარული ბიჭი იყო, ჯანსაღი, ხელმარჯვე, სახე ვარდისფერი ჰქონდა. მას „მკვირცხლს“ ეძახდნენ.


1893 წლის გაზაფხულზე ეკატერინა კუზმინინა მდინარეზე რეცხვის დროს გაცივდა და ჩაწვა. დაიწყო წლები გაჭირვების, შიმშილის, უზომო შრომისა. დედა მალე ქვით დაავადდა და წლის ბოლოს გარდაიცვალა.

ბავშვებთან გადმოსახლდა ღრმად მოხუცი

დიდედა (მამის დედა) — მელანია ავდევენა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ძიად მუშაობდა. მისი ქმარი ჯარისკაცი იყო. ის კავკასიაში დაიღუპა, რისთვისაც მელანიას აძლევდნენ პენსიას — თვეში სამ მანეთს. ოთხი სულის ცხოვრება ამ ფულით ყოველად შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა მიემართა თხოვნით ადგილობრივ ხელისუფალთათვის, რომ ორი უმცროსი ბავშვი მიეღოთ თავშესაფარში, როგორც ობლები. დიდი ხნის მუდარის შემდეგ ისინი დათანხმდნენ მიეღოთ თავშესაფარში მხოლოდ ერთი ბავშვი, სეროიჟა.



მან დაიწყო ცხოვრება თავშესაფარში. თავშესაფარის ბავშვებს, გამხდრებს და სუსტებს, თავაპარსულებს, ცუდად, აჩაჩულად ჩაცმულებს, ვაჭრის შვილებს...



ლები დასციროდნენ და სცემდნენ, ერთხელ სერიოჟა-საც დაეცნენ. მან, რომელსაც საერთოდ ჩხუბი არ უყვარდა, ისე მიბეგვა ვაჭრის ბიჭები, რომ ამის შემდეგ მისი ძლიერ ეშინოდათ.

ასე გაიარა სამმა წელმა. სერიოჟა კოსტრიკო-ვმა საუკეთესოდ დაასრულა სამრევლო სკოლა. ის გადაიყვანეს საქალაქო სასწავლებელში. თავის კლასელებს შორის ის ყველაზე პატარა იყო. დაკვი-რვებული, ბეჯითი, ის ძლიერ შეუყვარდათ მასწავ-ლებლებს. განსაკუთრებით უყვარდათ ის მათემატი-კისა და რუსული ენის მასწავლებლებს. ხშირად, როდესაც ვაჭარი კლიმოვის ვაჟი ვერ გადაწყვე-ტდა ამოცანას, მასწავლებელი ეტყოდა ხოლმე:

— რისთვისა გაქვს ეგ თავი? აბა, კოსტრიკოვ, მოდი, მოეხმარე.— სერიოჟა მაშინვე სწორად გადა-წყვეტდა ამოცანას. მათემატიკოსი იღიმებოდა.

— აი, კოსტრიკოვის თავი მუშაობს!

სერიოჟას შეეძლო საათობით მიჰხმა-რებოდა ამხანაგს ძნელი გაკვეთილების დამხადებაში, მაგრამ შპარგალკების მო-ყვარულები მას სძაგდა. ერთხელ, დასვენ-ებაზე, მან შენიშნა, რომ ერთი ზორბა ბიჭი გაჩქარებით იწერს გაკვეთილს სხვი-სი რვეულიდან.

— მოდი, აგიხსნი და მერე შენ თვი-თონვე გააკეთებ, — უთხრა სერიოჟამ.
— რისთვის ვიმტვრიო თავი, სჯობია გადმოვიწერო.— სერიოჟა ჯერ გაუწერა, მერე მიუჯდა გვერდით და წავლო ხელი მის ქამარს. მან ქამარს ხელი გაუშვა მხო-ლოდ მაშინ, როცა აცრემლებულმა ფილი-პოვმა, ახსნის მოსმენის შემდეგ, დამოუკიდებლად გადაწყვიტა ამოცანა.

თვითონ სერიოჟა ბეჯითად სწავლობდა და მუდამ საუკეთესო შედეგს აღწევდა. ახლაც ინახე-ბა გეოგრაფიული რუკები, სერიოჟას მიერ დახაზუ-ლი იმ წლებში. მათ ნაბეჭდისაგან ვერ გაარჩევთ. მან პირველად დახაზულ რუკაში სამიანი მიიღო. გადაწყვიტა უკეთესად გაეკეთებინა. და მართლაც, მერვედ დახაზულ რუკაში მან ხუთიანი მიიღო.

თავისუფალ საათებში სერიოჟა თავშესაფარის საქსოვ სახელოსნოში მუშაობდა. გატაცებული იყო ტანვარჯიშითა და ხატვით. ის ხშირად დადიო-და თავის ამხანაგთან — ვალოდიასთან. ისინი გამუ-ღმებით ეწეოდნენ გამომგონებლობას, ხერხავდნენ და რანდავდნენ.

ყველაზე უფრო სერიოჟას კთხვა უყვარდა. მი-სი საყვარელი წიგნები იყო: „კაპიტან გრანტის ბავშვები“, „რობინზონ კრუზო“, „ყინულის სახლი“. ეს წიგნები რამდენიმეჯერ ჰქონდა გადაკითხული და ზეპირად ახსოვდა თითქმის მთელი თავები.

წიგნები მას თვალწინ უშლიდნენ უცხო ქვეყა-ნას, დიდსა და ნათელს, რომელიც სრულიად არ ჰგავდა ურჩუმის დამყაყებულ ცხოვრებას.

ალბათ, სწორედ წიგნებმა დაუბადეს მას პირვე-

ლი აზრები იმის შესახებ, რომ შეიძლება ეს ცხოვ-რება უკეთ მოეწყოს, რომ ის უნდა შეიცვალოს.

სამოქალაქო სასწავლებლის მეორე კლასში დასა-წერად მიცემული იყო თემა: „ჩვენი სკოლის სასწავლებლის ეზო კი ცარიელი იყო, მინაშენი... საუკეთესო ნაშრომი მეორე დღეს მასწავ-ლებელმა ხმაბაღლა წაიკითხა. კლასში ატყდა სიცი-ლი, ხმაურობა.

— კოსტრიკოვს სულ ტყუილები დაუწერია! — ამბობდნენ ბავშვები.

გამოირკვა, რომ მან აწერა. სკოლის ეზო, დაფა-რული მრავალი ყვავილითა და ხეებით, ქვიშით მოყრილი ხეივნებითა და შედებილი სკამებით. აწე-რა ისეთი ეზო, როგორიც უნდა ყოფილიყო ის. მასწავლებელმა რვეული დაუბრუნა და უთხრა:

— ყოჩაღ, კოსტრიკოვ, მშვენივრად დაგიწე-რია!

მოწაფეები კი ვერ მიხვდნენ, რატომ შეაქო მასწავლებელმა სერიოჟა.

კოსტრიკოვი სულ უფრო და უფრო გამახვილებული აკვირდებოდა გარემო-ცულ სინამდვილეს. საყდარში, სადაც ხშირად დაჰყავდათ თავშესაფარის ბავ-შვები, მდიდრები იდგნენ ლარბებისა-გან გამოცალკევებულნი. ზოგნი ყიდუ-ლობდნენ ტკბილ ნამცხვრებს, დანარჩე-ნები კი მუავე შავ პურს. ადგილობრივ საპატიმროში ერთიმეორეზე მოჰყავდათ პატიმართა ჯგუფები. მათ, ფერმკრთა-ლებს, წვერმოშვებულებს, ხშირად სცემ-დნენ პირდაპირ ქუჩებში. ერთხელ ვა-ლოდიასთან ყოფნისას სერიოჟა მას აჩვენებდა რაღაც კალეიდოსკოპის მგზავსს, რომელიც თვითონ იოსტატა. უცბად მან წამოიყვია:

— ჩამოვარდა... დაიმტვრა... და სცემენ კიდევ!

ბავშვები ფანჯარას მისცივდნენ. ჯარისკაცები მინდორზე ვარჯიშობდნენ. ერთი მათგანი ღერძიდან ჩამოვარდა. ფელდფებელმა მას ცემა დაუწყო. სერი-ოჟას დაავიწყდა თავისი კალეიდოსკოპი, მოიღუშა და ჩვეულებრივ უფრო აღრე წავიდა თავშესაფარ-ში. ის ხედავდა, რომ ცხოვრება ცუდად იყო მოწყო-ბილი. „რატომ არის ასე?“ ფიქრობდა ის.

ურჩუმში ბლომად იყვნენ გადასახლებული სტუ-დენტები, მუშები, ადგილობრივ მცხოვრებლებს ისინი არ უყვარდათ, ეშინოდათ და ამბობდნენ:

— მემამოხეები, საყდარში არ დაიარებიან, მე-ფის წინააღმდეგ იბრძვიანო.

გადასახლებულები ურთიერთშორის მეგობრუ-ლად ცხოვრობდნენ. სერიოჟას ისინი ძალიან მოს-წონდა. იტაცებდა მათი ცხოვრება, საიდუმლოებით გარემოცული, თავისებური ტანსაცმელი, მხიარუ-ლი სიმღერები. მან გაიცნო პეტერბურგელი სტუდენ-ტები, მერე კი სხვა გადასახლებულებიც, და და-დიოდა მათთან. ერთხელ ის მეტად გააოცა უცნობმა სიმღერამ, რომელსაც ისინი გუნდურად მღეროდნენ.



მან შეისწავლა სიტყვები და მარტოობის დროს მღეროდა:


„Вихри враждебные воют над нами...“¹⁾
მან შეისწავლა სხვა სიმღერებიც, რომლებიც შეიძლება ემღერა მხოლოდ იქ, სადაც სხვები არ იქნებოდნენ. კვირადღეებში ის მართავდა სპექტაკლებს. პოსტოვალოვის ქუჩის ბავშვები შეძვრებოდნენ ზეგნურში, კარებს ჩაკეტავდნენ და ნახევრად სიბნელეში სერიოჟა წკრიალა ხმით მღეროდა:

„А деспот пирует в роскошном дворце,
Тревогу вином заливая.“

Но грозные буквы давно на стене
Чертит уж рука роковая...“²⁾

მღეროდა და იქნედა მუსტებს. მისი თვალები ბრწყინავდნენ. ერთხელ ერთერთ ბიჭს შეეშინდა — სერიოჟა, ჩვენ დაგვაბატიმრებენ.
— არა, ახლა არ დაგვაბატიმრებენ, — უპასუხა სერიოჟამ, — და როცა გავიზრდებით, მაშინ პოლიციელების აღარ შეგვეშინდება.

მაშინ სერიოჟა 15 წლისა იყო. მან საუკეთესოდ დაასრულა სასწავლებელი და გაემგზავრა ყაზანში, სადაც მოეწყო საწარმოო სასწავლებელში. ეს იყო 1901 წელს.



ბავშვიკ მოროზოვი

□
შთავრობა წითელ მოედანზე დგამს გმირი პიონერის პავლიკ მოროზოვის ძეგლს. აქვე მოთავსებულია ქანდაკების პროექტი.
□

ბავშვმა შეიტანა ძვეშნის სივართლე, ზრომის დიდების, ზრომის სიმღერის, თვალში ჩაგიღმა უცხო სინათლე და ელვარება წითელი ფერის.


გული ბაგინდა ბრძოლის ეგზლემად, და შენი მოსვლა მე მივამსგავსებ: მოკფა ყვავილზე ნაფი პეაილა ფრთებს რომ გაზლის და მოკმდება წამსებ.

მაგრამ ცაცხლი რომ დაინთე მაშინ, ის არ ჩამკრალა და არც ჩამკრება, იმნები მუღამ გმირი და ბავშვი და მყოლები ტოლებს სამკრად.

ლიდია მებრელიძე



¹⁾ მტრული ქარიშხლები თავს დაგვლმუიან...
²⁾ დესპოტი ქეიფობს შესანიშნავ სასახლეში, ღვინით სურს ჩაიხმოს შემუფოთება, მაგრამ საშინელ ასოებს უკვე ღიდი ხანია კედელზე წერს საბედისწერო ხელი.



ყველამ ვიცით, რომ ხუთი დეკემბერი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, სტალინური კონსტიტუციის დღეა.

1936 წელს, ხუთ დეკემბერს, საბჭოების სრულიად-საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობამ განუსაზღვრელი სიხარულითა და აღფრთოვანებით დაამტკიცა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტი. ახალმა, სტალინურმა კონსტიტუციამ მოქმედება დაიწყო.

საბჭოთა ქვეყანას წინათაც ჰქონდა თავისი ძირითადი კანონები. 1918 წელს იქნა მიღებული პირველი საბჭოთა კონსტიტუცია.

მისი შემოქმედნი იყვნენ ხალხთა საყვარელი ბელადები ლენინი და სტალინი.

პირველმა საბჭოთა კონსტიტუციამ უდიდესი როლი ითამაშა. მასში გამოცხადებული იყო: პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული ამოცანა უკლასო საზოგადოების აშენებაა.

ეს კონსტიტუცია 1924 წლამდის მოქმედებდა. ამ წლის იანვარში შეიკრიბა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეორე ყრილობა. ყრილობამ დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, შემუშავებული ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მის შემდეგ კარგახანი გავიდა. საბჭოთა კავშირში ბევრი ცვლილება მოხდა.


საჭირო შეიქნა 1924 წელს მიღებული კონსტიტუციის შეცვლა.

ეს კარგად გაითვალისწინა საბჭოების მეშვიდე ყრილობამ. მან გამოიტანა სპეციალური დღეგინილება საკონსტიტუციო კომისიის მოწყობის შესახებ. მაშინ 1935 წელი იყო, ექვსი თებერვალი.

კომისიამ შეიმუშავა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დიდი სტალინის ხელით დაიწერა. სულ მალე ეს პროექტი გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

განხილვა თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა. ყველგან, ყველგან იწონებდა პროექტს აღფრთოვანებული მშრომელი ხალხი.

ცოფმორეული მტრები—ფაშისტები კი წერდნენ, საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი ცარიელი დაპირება და მოტყუებააო, საბჭოთა კავშირი არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრულ გეოგრაფიული ცნებაო.



თავის მოხსენებაში მერვე საგანგებო ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს.

„რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე? — ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი.

ერთერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავენება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონება-ჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დაწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყნარე“ დამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაჟლიტა და ათობით ქალაქები გადაწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და ჰორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? (საერთო სიცილი, ტაში). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? (საერთო სიცილი). და, თქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა!“ (საერთო სიცილი).

მე მგონია, რომ ვაჟბატონები „დეიტშე დიპლომატიში პოლიტიშე კორესპონდენციდან“ როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს“. (საერთო სიცილი, მოწონების ტაში.)

სულგანაბლური უსმენდენ ყრილობის დელეგატები ამხანაგ სტალინს. მოხიბლული იყვნენ ისინი უძვირფასესი მოხსენებით. ხშირად აწყვეტილებდნენ ბელადს სიტყვას მოწონების ტაშის გრიალით.

ორ საათს ილაპარაკა ბრძენმა მასწავლებელმა, დიდი სტალინმა ყრილობაზე. ილაპარაკა ბედნიერი ბავშვობის შესახებ, სიხარულით აღსავსე სიჭაბუკეზე, უზრუნველყოფილ მოხუცებულობაზე, ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე.

ყრილობამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, სტალინური კონსტიტუცია.

მის შემდეგ ორი წელი გავიდა. ორი წელია, რაც მოქმედებაშია ისტორიის ეს უძვირფასესი დოკუმენტი, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველზე.

ნაძვის ხესთან

შემოვერტყათ ნაძვს გარშემო,
რალას უცდი, ბიჭო ვია,
საახალწლოდ ჩვენს ნაძვის ხეს.
საჩუქრები მოუბია.

ვაშლი, მსხალი, ვარსკვლავები
ვიშ, რა კარგად აკუნწლულა,
ზოგი მორცხვად იხედება,
ზოგიც შიგნით მიმალულა.

ერთი, ორი... უჰ, რამდენი!
როდის დავთვლი ამდენ რამეს;
მიხარია, როცა ვხედავ
ჩვენი ნაძვის სინარნარეს.

ნაძვს ტოტები ვერ დაუძრავს,
სიმძიმისგან იზნიქება,

მაგრამ ისე მოკაზნულა,
უკეთესი არ იქნება.

ეს პატარა ბურთულები
სულ ციმციმებს და ციალებს,
ზოგჯერ ისე გაბრწყინდება,
ვერ უჩერებ თითქოს თვალებს.

აქეთ მოდიოთ... არ გეჩვევია
ცუდად ყოფნა, მორცხვად მზერა,
შემოვერტყათ ნაძვს გარშემო
და შევძახოთ მხნე სიმღერა:

— ვაშა სტალინს! მისი ტროფობა
გულით დაგვაქვს ყველას წმინდა,
მან გვაჩუქა ნაძვის ხე და
ხედაც ხილი ჩამოჰკიდა.



პატარების ნაძვის ხე



თუმცა ჩემთვის არ დაედგათ
და მოერთოთ მრავალ ფერად,
მაგრამ მაინც მახარებდა
თმახუჭუჭა ნაძვის ცქერა.

ცელქმა ლიამ სტუმრებისთვის
დააყენა ხილის გორა,
ოქტომბრელებს მოელოდა
ის, ნაძვივით თმაქოჩორა.

აჰა, კიდევ მოცქრილდნენ
თოვლის ბაბუჯ შესამკობლად,

და ნაძვის ხეც მათ კოკჭიკში
თავს არ გრძნობდა უკვე ობლად.

შევხაროდი მათ ბავშვობას,
გადავწყვიტე ჩემად გულში:
ჩავერიოდი ოქტომბრელთა
ფერხულსა და სიხარულში:

დავტრიალდი, ჩემს ცეკვაზე
სიხარულით ნაძვიც თართოდა,
კედლიდან კი „დიდი ძია“
შუბლგახსნფლი გვიცინოდა.

პიონერი მურმან ლებანიძე.

უღუ ჰ თეთ



— არა უშავს, აი შენ ეს ჭამე.

ბებერმა გაუწოდა დიდი მიწავაშლა, რომელიც ტყავის ტომარაში ჰქონდა, და ხბო გამოართვა.

თეთი ეცა მიწავაშლას და ხარბად დაუწყო ჭამა, მაგრამ ერთბაშად შეჩერდა.

— ბე, მე სულ შეგვამე და შენ?

— ჭამე, ჭამე, — უთხრა ბემ, — ახლა ჩვენ საჭმელი ბევრი გვაქვს, მე უღუსაც მოვუტანე.

— უღუ! ოჰ, ის საძაგელი უღუ... მე იმას ვაჩვენებ... — თქვა გოგონამ და ავიდნენ თუ არა, გამოქვაბულის წინ დაინახა თუ არა უღუ, რომელიც იჯდა განაპირას და მათკენ არც კი იყურებოდა, გაქანდა მოღერებული მუშტებით და ყვირილით:

— ოჰ, შე საძაგელო უღუ! მე შენ გაჩ... — უცებ შედგა გაშტურებული. — უღუ, — წარმოთქვა მან, — ეს... ეს... შენ...

უღუს დაედვა მუხლებზე დიდი თეთრი ბეჭი და კერასთან ნაპოვნი ნახშირით ხატავდა აქორჩილ მთაზე ხანძარს, ჩასაფრებულ, კეტებითა და ქვის ცულდებით შეიარაღებულ წვერიან მონადირეებს, ნადირებს, რომლებიც ყირამალა, ტრიალტრიალით ცვივდებოდნენ უფსკრულში და ასკდებოდნენ ქვებს.

— დაიცა, დაიცა! — შეჰყვირა ბიჭმა. — არ მოგცემ ბეჭს, არა! ხედავ? ვხატავ... დამაცა, აი ამ ირმის რქებს დავხატავ და... მერე...

მაგრამ თეთ სრულიადაც არ ფიქრობდა ხელი შეეშალა ძმისათვის ხატვაში, ის იღვა და ალტაცებული შესცქეროდა ხან ნახატს, ხან ბიჭს.

ბეც ამოვიდა. დასვა ხბო, დაუძახა გოგონას და მიაწოდა მისთვის ქვის ქვეშ შენახული ხორცის ნაჭერი.

თეთმა ნახევარიც კი ვერ შეჭამა, ისე დიდი იყო. როდესაც გაძღა, მოეხვია თავის საყვარელ ბეს კისერზე, ალერსით უსვამდა ლოყას ლოყაზე, ცხვირს ცხვირზე, თავს კისერსა და გულზე და სიამოვნებით კრუტუხებდა კატასავით.

ხბო იწვა ერთ ადგილას, არ ინძროდა და მხოლოდ ხანდახან ნელა ხმუოდა შესაბრალისად.

— ახლა, თუ გინდა, თეთ, მოგკლათ ხბო, — უთხრა ბემ.

თეთ წამოხტა, თვალის დახამხამების უმაღლეს და ხბოსთან და ხელში აიყვანა.

— არა, არა, არასოდეს, ბე! შეხედე, რა პატარაა. მე არასოდეს არ მყოლია პატარა ხბო.

— მაშ ფეხი მოვურჩინოთ.

— ჰო, ბე, როგორ?

ბემ მოატანინა თეთს დაგროვილ ფიჩხში ამორჩეული სწორი, მაგარი ჩხირები, მერმე წამახვილებული კაჟის დანით გამოჭრა ტყავის ბრტყელი თასმა, გაუსწორა ხბოს ფეხი, გარს შემოუწყო ჩხირები და მაგრად შეუკრა თასმით, ისე რომ გატეხილი ადგილი ერთმანეთს არ დაშორებოდა. თეთს ფრთხილად ეჭირა ხბო, რომ არ განძრეულიყო, და თან ალერსიანად ეუბნებოდა:

— ჩემო კარგო, ჩემო კრელავ, მე არასოდეს არ მივცემ შენი მოკვლის ნებას. მღვიმეში დაგმალავ, რომ შენმა საშინელმა რქიანმა დედამ ვერ მოგაგნოს და არ წავაიყვანოს, გემრიელ ბალახს მოგიტან...

მოხუცი და თეთ ჩაცუცქულნი იყვნენ და ის ეყო გაათავეს ფეხის შეხვევა, რომ მათ ხელი ბლავილით ძროხა წამოადგათ თავზე. შეშინებულ თეთს წრაფად წამოვარდა და გადახტა მღვიმისაკენ. ბებიაც თავხარდაცემული ადგა და საჩქაროდ უკან დაიწია. მაგრამ ძროხა არც კი ფიქრობდა იმათ გამოკიდებას. ის მივიდა ხბოსთან. სავსე ცურიდან თეთრი რძე წურწურით ჩამოსდიოდა. დაინახა თუ არა ხბომ დედა, შეეცადა ამდგარიყო და მისწვდომოდა ცურს, მაგრამ ვერ ადგა: გაქიმულ, შეხვეულ ფეხს ვერ ძრავდა. ძროხა ნელა, შესაბრალისად ხმუოდა და ასევე ნელა, თითქოს შესტირისო, ხმუოდა პატარა ჭრელი ხბოც: „მუუ“.

თეთ ერთხანს გაკვირვებით შესცქეროდა. მან იცოდა, რომ დედები აწოვებდნენ ძუძუს თავიანთ პატარა შვილებს. მას კარგად ახსოვს, როგორ სწოვდა თვითონაც დედის ტკბილ ძუძუს, და გული სიბრაღულით აევსო. ის ნელნელა მიუახლოვდა ხბოს. ძროხა არ იძროდა. პირიქით, თითქოს ელოდა მის ახლოს მოსვლას. გოგონამ შეხედა, რომ ძროხა არ ერჩოდა, და გაბედულად მივიდა, აიყვანა

ხბო და მიუშვა ცურთან. ხბო თქათათქუფით შეუ-
 უდგა წოვას. ძროხა სიამოვნებით აქნევდა კუდს და
 ხშირად იყურებოდა ხბოსაკენ. ცდილობდა მისწე-
 დომოდა და გაელოკა ის. ძროხა ახლა კმაყოფილე-
 ბით ბლოდა ნელნელა. ხბო ფეხზე ვერ დგებოდა
 და ჩაცუცქულ თეთს ეჭირა ხელში. უცებ მასაც
 მოუნდა თეთრი გემრიელი რძე და თვითონაც მოჰ-
 კიდა ცურს პირი ჯერ გაუბედავად, მერე კი უფრო-
 დაუფრო თამამად დაუწყო წოვა. ბებია იდგა ერთ
 ადგილას და განცვიფრებული შესცქეროდა, როგორ
 სწოვდნენ ხბო და თეთ ერთად და როგორ მშვი-
 დად დასცქეროდა მათ დიდი თეთრი ძროხა.

ულუ ხატავდა და ხატავდა. ის ვერ ამჩნევდა,
 რა ხდებოდა მის ირგვლივ. მზე გადაიხარა მღვიმის
 უკან, მისი სხივები თითქოს დაიწვა გაღმა მთის
 მწვერვალის გამქრალ აღში და გაშავდა დამწვარ
 ხეებში. არაფერი ხმაური და ყრუნი აღარ ისმო-
 და. მხოლოდ აქა-იქ კლდეზე გამოწეულ დიდ
 ლოდებზე შერჩენილიყო საცოდავად დაკრუნჩხული
 შკვდარი ნადირი. დაბლა ხევიდან, სადაც ისევ ღრი-
 ალით მიაგორებდა თავის ტალღებს ჩხერიჩხერა,
 ბინდი მალლა-მალლა იწევდა და ირგვლივ მიდა-
 შო და მღვიმეც თითქოს ნელნელა ეშვებოდა
 სიბნელეში.



ხბო გაძღა და დაწვა. ძროხა ნელნელა ლოკავ-
 და და ალამაზებდა შვილს. ულუმ გაათავა ხატვა
 და მიუტანა ბებიასა და დას. ორივენი გაკვირვე-
 ბით დასცქეროდნენ დღევანდელი ნადირობის სუ-
 რათს, რასაც თეთ ისე შეშინებული უცქეროდა გა-
 ღმა მთაზე. ბებიას კი დღეს არ შეშინებია, სამაგი-

ეროდ ის ახლა უყურებდა შეშინებული და უკან
 უკან იწევდა.

— გაცოცხლდებიან? — იკითხა მან ბოლოს.
 — არა.
 — გაიზრდებიან?
 — არა მგონია, — თქვა ცოტათი დაქვევებულმა
 ულუმ.

— ოხ, თქვა ბებერმა, — საშინელებაა, ღამე ეს
 დათვი რომ გაცოცხლდეს და გაიზარდოს!

— ოო, ულუ, შენ დახატავ ჩემ ხბოს, მე არ
 შემიშინდება, თუ გაიზრდება.

ულუმ მხოლოდ ახლა შეამჩნია ძროხა და ხბო,
 შეკრთა და სწრაფად წამოუსვა ხელი თავის
 შოლტს.

თეთ ეცა ხელში.

— ულუ, ეს ჩემი ხბოა. ძროხაც ჩემია... მე ძუ-
 ძუ მაქვამა... ჩვენ აღარ მოგვშორდება, ულუ... შენც
 გატყვევს ძუძუს... მე მას ბალახს მოეუტან, მწვანე
 გემრიელ ბალახს... ხომ დახატავ? — ამბობდა გო-
 გონა სხაპასხუპით.

ულუმ გააგდო შოლტი, დახედა თავის ნახატს და
 გაეცინა.

— დახატავ, — თქვა მან.

გახარებულმა თეთმა გაშალა ხელი და სიმღერა
 და ცეკვა მორთო:

— ულუ დახატავს თეთის მოყვანილ ხბოს
 და ძროხას,

ულუ კარგი ბიჭია, დიდი მხატვარი.

ულუმ დახატა ნადირობა.

მას აჰყვა ულუ ბეჭით ხელში.

— ულუ დახატავს თეთის მოყვანილ ხბოს და
 და ძროხას.

თეთ კარგი გოგონაა.

მას არ ეშინია რქიანი ძროხის.

ბებიაშეც მოიხსნა ნიკაპზე მარყუჟად გამოსკენი-
 ლი თმა, გადაიკრა უკან კეფაზე და ბავშვებთან
 ერთად იმანაც დაუარა თავისი გრძელი ჯოხით და
 და სიმღერით:

თეთ და ულუ უყვარს ბეს.

ულუსა და თეთს არასოდეს არ მოშორდება ბე-
 ბავშვებმა კი ერთად დასძახეს:

— ოო, ბე, შენ მოარჩინე თეთის ხბო.

ოო, ჩვენო მშვენიერო ბე,
 როგორ გვიყვარხარ...

ცაზე სიცილით ამოგორდა დიდი და მხიარული
 მთვარე და ირგვლივ მიდამოს ვერცხლის სხივები
 გადმოაფრქვია. ფერდობებზე შავად გადმოწვა მთე-
 ბის ვეებერთელა შავი ჩრდილები. ცა მოიჭედა ციმ-
 ციმა ვარსკვლავებით.

ყველაზე უწინ დაიღალა ბე. გაჩერდა, შევიდა
 მღვიმეში, ნაღვერდული გაქექა, ფიჩხი დააყარა და
 ცეცხლი გააჩაღა. ნაკვერჩხლებზე შეწვა დანარჩენი
 ხორცი და ბავშვებს დაუძახა.

თეთმა ფრთხილად შემოიყვანა მღვიმეში ხბო.
 ულუს სიხარულით მოჰქონდა თავისი სურათი.

ბე წამოხტა:

- ულუ, მხეცები აი შეშოიყვანო.
- ბე, ესენი ხომ მე გავაჩინე ბეჭზე, ბე...
- ჰო, არა, არა! მე ვიცი, გაცოცხლდებიან და ღამე შეგვკამენ.

შეშინდა თეთიც. დაფიქრდა ულუც და ცოტა ყოყმანის შემდეგ გაიტანა თავისი ნახატი და გარეთ გამოტეხილ კლდეში შეინახა.

ხბო კერის ახლოს დააწვინეს ტყავზე, მღვიმის პირას ლოდი მიავორეს, და ულუ და თეთ იქავე ხბოსთან მიწვნენ და დაიძინეს.

ბე კარგახანს დასცქეროდა ბავშვებს, შემდეგ შეახვია ცეცხლი, რომ არ გამქრალიყო, და ისიც ბავშვებთან დაწვა.

და როდესაც დილით ძროხისათვის ბალახის მოსატანად წავიდა, გზაში ყურცქვიტა დაიჭირა, და სანამ ბებია გაატყავებდა და შეწვავდა, ხბოსთან ერთად მოსწოვეს მან და ულუმ ძროხის ძუძუ.

ძროხას ახლა სრულიადაც აღარ ეშინოდა ბავშვების: კამდა ბალახს და ლოკავდა თავის ხბოს. მხოლოდ ცოტა ხნით წავიდა წყაროზე წყლის დასალევად. ისე კი თავის შვილს არ შორდებოდა, ნელა იცოხნიდა და თან ალერსიანად ლოკავდა.

კარგა მოსალამოვდა, როდესაც ბავშვებს მამის გამარჯვების შეძახება „ეჰ, ეჰ, ჰეი“ — მოესმათ, გახარებულნი დაეშვნენ ბილიკზე და შორიდანვე დაინახეს ნანადირევით დატვირთული დედ-მამა.

ოჰ, რა ლამაზები და საყვარლები იყვნენ!

წინ მოდიოდა მალალი, შავწვერულვაშებიანი ბა, შავი თმა მალლა ჰქონდა წვრილი თასმით შეკრული, თავისუფალი ბოლოები ქუდივით გადმო-

შლოდა თავზე და სიარულის დროს თითქოს ცეკვავდნენ თავის ირგვლივ. ტანზე წელქვიტის მგლის ტყავი ჰქონდა მოხვეული და კული ძირს ეთრეოდა მიწაზე.

ნენს, უფრო მომცრო, მხიარულ, ნათესავებს ლებიან ქალს, ბრტყელი თასმით გადაკრული თმა მხრებზე გადაშლოდა. ტანზე შავი დათვის ტყავი ეცვა და კისერსა და ფეხებზე ცხოველების კბილებისაგან ასხმული ყელსაბმელი და წვივსაკრავები ჰქონდა გაკეთებული.

თუმცა ორივენი დატვირთულნი იყვნენ ნანადირევით, მაინც მხიარულად და ყოჩაღად მოდიოდნენ.

ბავშვები ყვირილით მიეგებნენ:

— ოო, ნენ, ბე მოვიდა ჩვენთან!

— ოო, ბა, ჩვენი ბე სამუდამოდ რჩება ჩვენთან...

— ბა, ნენ, თეთმა მუ მოიყვანა, დიდი თეთრი მუ თავისი პატარა კრელი შვილით. ჩვენ ძუძუ მოგვაწოვა მუ.

— ნენ, ბა, ულუმ ისეთი ნადირობა დახატა, ისეთი ნახატი...

როდესაც ბა და ნენ ამოვიდნენ თავიანთ მღვიმეში, დაყარეს ნანადირევი და ნახეს ბებიაც, ძროხაც და ნახატიც, იმათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გადმოხტა მამინ ბა შუა ეზოში, მალლა შეხტა და დაიწყო ცეკვა და სიმღერა:

— ოჰ, რა ყოჩაღი მონადირეა ბა!

ოჰ, რა ლამაზი და კობტა ცოლი ჰყავს ბას!

ოჰ, როგორ უყვარს მოხუცი ბე ბას!

მაგრამ ყველაზე უკეთესი, ულამაზესი და უყოჩაღესი შვილები, ულუ და თეთ, ჰყავს ბას! განა ოდესმე ვინმეს შვილს დაუხატავს ნადირობა?

განა ოდესმე ვინმეს შვილს მოუშინაურებია რქიანი მხეცი? გაიგეთ, მთვარევე, ქარო, მთებო და ვარსკვლავებო, რომ პირველი მხატვარი და პირველი მომშინაურებელი. ჩემი შვილები, ხელმარდი ულუ და ფეხმარდი თეთია.


ბამ ჩაჰკიდა ნენს ხელი, ნენმა ულუს, ულუმ ბეს, ბემ თეთს, და გაკეთდა წრე.

და დატრიალდა მღვიმის წინ ცეკვითა და სიმღერით მხიარული წრე.

შორიდან, თითქოს ბანს აღლევსო, ისმოდა ტყის შრიალი, ჩხერიჩხერას ზვირთების თქარათქური, კრიალა ცაზე კი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ნათელი დიდი მთვარე თითქოს უცინოდა მათ.

(გაგრძელება იქნება)





დიდა კარასუვას გღიური

17 იანვარი.

მე და იურა მივდიოდით სკოლიდან. ლაპარაკი ჩამოვარდა ჩვენს გვეგებზე მომავლის შესახებ.

მე ვუთხარი: მე მინდა ბიოლოგი გამოვიდე და ახალი ცხოველები აღმოვაჩინო მეთქი. გარდა ამისა მე მინდა ვიყო ფრენბურთის ჩემპიონი სსრკ ქალთა ნაკრებ გუნდში. ამ ბოლო ხანებში ძალიან გატაცებული ვიყავი ფრენბურთით.

იურას ძალიან მოეწონა, რომ მე მინდა გავხდე მოგზაური—ბიოლოგი. მაშინ ჩვენ შეგვეტლება ერთად ჩავატაროთ ექსპედიციები. მე, როგორც სწავლულმა მკვლევარმა, მან კი—როგორც რომელიმე გაზეთის კორესპონდენტმა. შესანიშნავი იქნება. მე და იურა ახლა ისე დავმეგობრდით, რომ საშინელება იქნება, სკოლის გათავების შემდეგ რომ დავშორდეთ ერთმანეთს.

8 თებერვალი.

იურა ძალიან ბევრ წიგნს კითხულობს და მე ხშირად ვჩემდები, როცა ის შემეკითხება ხოლმე ამა თუ იმ წიგნზე, რომელზედაც მე წარმოდგენაც კი არა მაქვს. მე უნდა დავაწვე წიგნების კითხვას. ახლა ჩავეწერე ნეკრასოვის სახელობის ბიბლიოთეკაში, იქ დავდივარ და ვკითხულობ ჟურნალებს „კასტიორს“ „იუნი ნატურალისტს“ და „პიონერს“.

ჩემი ბლოკნოტის ფურცლები ავსებულია იმ წიგნების სიით, რომლების წაკითხვაც აუცილებელია.

სხვათა შორის, ბევრი ჩიჩინის შემდეგ იურა დამეთანხმა წაკითხოს სკოლაში პუშკინის სალამოზე თავისი ლექსები. მაგრამ დიდი მკვერმეტყველება დამჭირდა.

13 თებერვალი.

პუშკინის სალამო შესანიშნავად ჩატარდა. კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი გამოვუშვი. ჩვენმა მხატვრებმა გაზეთი დაამშვენეს ლამაზი ვინიტებითა და ნახატებით.

სალამო გაიხსნა მე-9კლასის მოწაფის სამოხიანის მოხსენებით: „პუშკინი და საბჭოთა ქვეყანა“.

შემდეგ დადგეს „ბოშები“. შემდეგ იყო ბევრი მუსიკალური ნომერი. მეცხრეკლასელმა კონონოვამ მშვენივრად იმღერა პუშკინის რომანსები (მას ისეთი მაღალი ხმა აქვს, რომ როდესაც მაღალ ნოტებს იღებს, პირდაპირ ჟრუნტელი დაგივლის).

დაბოლოს გამოაცხადეს: იური ტროიციკი წაკითხავს საკუთარ ლექსსო. გოგონებმა ხითხითი დაიწყეს და გვერდებში წამკრეს ხელი. მე გავიგონე, ღინა ბრასლავსკაიამ რომ თქვა ჩემ ზურგს უკან:

— წარმომიდგენია, რა ლექსი იქნება!

იურა გამოვიდა სცენაზე. მე ცოცხალმკვდარი ვიჯექი. მაგრამ იურა, როგორც ჩანს, სრულიად არ შიშობდა. ის ლამაზად და გარკვევით კითხუ-

*) დასასრული. იხ „პიონერი“ №11

ლობდა თავის ლექსს. დარბაზში სიჩუმე იყო. ყვე
ლანი დიდი ყურადღებით ისმენდნენ.

უკანა რიგებში ბავშვები წამოდგნენ კიდევ,
რომ უკეთ დაენახათ. როცა იურამ დაასრულა, ყვე-
ლამ ტაში დაუჭრა და დაიყვირეს:

— ვაშა, ტროიციკი! ბის! ბის!

ბავშვები იმდენ ხანს უკრავდნენ ტაშს, რომ იუ-
რა იძულებული გახდა წაეკითხა თავისი მეორე ლექ-
სი („სამშობლოზე“). ის გაწითლდა აღელვებისაგან,
თვალები უბრწყინავდა.

მერვეკლასელი ბავშვები კი გაკვირებისაგან
პირდაღებულნი ისხდნენ. მათ, ცხადია, არ ეგონათ,
თუ მათ კლასში ასეთი პოეტი აღმოჩნდებოდა.

მე ძალიან ვამაყობდი იურათი იმ საღამოს და
ისე მიხაროდა, თითქოს ის ლექსები ჩემი დაწერი-
ლი ყოფილიყო.

16 თებერვალი.

მესამე გაკვეთილის შემდეგ ერთი სასიამოვნო
ამბავი გამოგვიცხადეს; მეშიდე და მერვე კლასები
ზეგ პარგოლოვოში მიდიან ერთდღიან დასასვენებელ
ბაზაში. ფიზკულტურელმა ვლადიმირ სოლომონოვიჩი-
მა დაგვავალა კოსტუმებითა და პექსებით (ვისაც
აქვს) მოვიდეთ. ნეტავ კი კარგი ამინდი იქნებოდეს
18-ს. გაკვეთილების შემდეგ დავრჩი მე-9 კლასის
გოგოებთან ფრენბურთის სათამაშოდ. საკმაოდ დიდ-
ხანს ვთამაშობდით. ფიზკულტურის დარბაზიდან
გაოფლიანებული და კუდიანივით გაწეწილი გამო-
ვედი.

ქვევით, ტანისამოსის გასახდელ ცარიელ ოთახ-
ში, დავინახე იურა, რომელიც სკამზე იჯდა და ხელ-
ში წიგნი ეჭირა.

— აქ რას უზიხარ?

მან მიპასუხა: ეგოროვსა და ბელიაევს ჭადრაკს
ვეთამაშებოდი, მერე კი გადავწყვიტე შენთვის და-
მეცადაო. მე ძალიან გამეხარდა.

გავედით ქუჩაში და, შიუხედავად დიდი ყინვისა,
ქვეითად წავედით. იურა შეუბნებოდა, ძალიან კმა-
ყოფილი ვარ, რედაქტორად რომ ამირჩიესო, მით-
ხრა, თუ როგორი ლექსების დაწერას აპირებს კედ-
ლის გაზეთისათვის. მერე ვილაპარაკეთ პარგოლო-
ვოში წასვლის შესახებ. ყველა ბავშვი კი არ წავა;
არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც სპორტით
არაიან ვატაცებულნი.

18 თებერვალი. პარგოლოვო.

10 საათზე მოვედით. ოცდარვა კაცი ვართ.
შუგალოვოში ჩამოვბტით ტრამვაიდან და ბაზას
მივამურეთ. მე ძალიან მხიარულად ვიყავი, გზაში
სულ ვკისკისობდი და ასტახოვიჩის წავეკინკლაგებო-
დი ხოლმე.

ბაზაში ვისაუბმეთ და თხილამურები დავხეთეთ.
ორ ჯგუფად გავიყავით. პირველი ჯგუფი, ფიზკულ-
ტურელის მეთაურობით, ტრენირებისათვის წავიდა
გორაკისაკენ, მეორე ჯგუფი კი (მათ შორის მე, ფაი-
კა და იურა) თხილამურებით წავიდა ტყეში. ჩვენ
მწკრივად მივდიოდით: წინ—მე, ჩემს უკან—იურა,

მის უკან ვაკულინი, ვაკულინის უკან—თაიკა და
ა. შ. ყველაზე უკან ხვნივით მოჩანჩალებოდა ბირა-
კოვანი, რომელსაც წამდაუწუმ სძვრებოდა მარჯვენა
თხილამური. ასე მივდიოდით ტყეში გაკატელოვნებით.
ყინავდა, მაგრამ მზე იტყიტებოდა. ირგვლივ ყველას
ჭაქანება არ იყო.

— იცი, ბავშვებო, მოდი, წარწერები გავაკე-
თოთ თოვლზე. თუ დავიბენით, წარწერა იტყვის,
რომელ მხარეს მივდიოდით.—და ჩვენ თხილამურე-
ბის ჯოხებით დავწერეთ ჩვენი სახელები თოვლზე.
განვავრძობდით სვლას ვიწრო ბილიკით. იურა ცუ-
დად დადის თხილამურებით. ვაკულინი სულ დას-
ცინის მას.

ის ეუბნება:

— აბა, აუჩქარე რიზანელო, დედაცაკო.
ან:

— არა, პოეტი მაინც არ იყოს!—და სხვა ამ-
გვარ სისულელეს რომავს.

იურა ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ როდესაც
ვაკულინმა დაუყვირა:

— ოხ, შე თხილამურებიანო კუ!—იურამ უთ-
ხრა:

— თავი დამანებე!

მაშინ მოხდა ის, რამაც მთლად ერთიან აღშაშ-
ფოთა. გოგა ვაკულინმა მიიბრინა იურასთან, დაუ-
ყვირა „პირი დაიბანე!“ და პირდაპირ ცხვირზე ჩა-
მოაუხატა ქუდი. თანაც ისე ჰკრა იდაყვი მკერდში,
რომ იურა თოვლში გაიშხლართა.

ჩვენ ყველანი აღვშფოთდით და გვეგონა, რომ
იურა ვაკულინს ერთს კარგა ლაზათიანად წაჰ-
კრავდა კისერში, მაგრამ ის წამოდგა და, ვითომც აქ
არაფერიყო, ქუდი გაისწორა.

— ტროიციკი, ერთი უთავაზე მაგას!—დაიყვირეს
ბავშვებმა. მაგრამ იურა უხმოდ იბერტყავდა თოვლს
თავისი ქურთუკიდან.

ოხ, რარიგ მეზიზღებოდა ის იმ წუთას! სირ-
ცხელით მინდოდა მიწა გასკდომოდა, ალბათ, იუ-
რამ ეს შემამჩნია. მან წყნარად მითხრა:

— გამიგონე, ლიდა, მე უნდა აგისხნა...

მაგრამ მე მკვახედ შევაწყვეტინე:

— მხალღებს არ ველაპარაკები,—და გავიქეცი,
რომ ყმაწვილებს წამოვწეოდი. და აი დავბრუნდით
ბაზაში. ყმაწვილები, მხიარულნი და გაწითლებულნი,
მხეცური მადით ნთქავდნენ სადილს, მე კი თითქმის
არაფერს არ ვჭამდი და ვცდილობდი არავისათვის
არ შემეხედა. ნასადილევს წავედი დასასვენებელ
ოთახში, სადაც ვზივარ ახლა და ვწერ დღიურს.

20 თებერვალი.

უკვე მეორე დღეა, რაც მე საავადმყოფოში ვარ.
მარჯვენა ფეხი მაქვს მოტეხილი. როდესაც მახსენ-
დება პარგოლოვოში ჩვენი საჭირობოროტო გამგზავ-
რება, რალაცატომ მგონია, რომ ეს ძალიან დიდი
ხნის წინათ იყო, თუმცა მხოლოდ ორი დღე გავი-
და. ფეხი საშინლად მტკიავა. ნუთუ სამუდამოდ დავ-
კოჭლდები? რა საშინელებაა! მე ველარ შევძლებ
ფრენბურთის თამაშს და სპორტსაც თავი უნდა და-



ვანებო. მე ველარ შევეძლებ სირბილს, რომ სხვებს გაეასწრო. სამხედრო ლაშქრობის დროს კი კოკლობით უნდა მივიჩინალებდე ყველაზე უკან... არა, არა, არ შემიძლია შევევგუო ამ აზრს!

21 თეზაერვალ ი. საავადმყოფო.

მთელი ფეხი თაბაშირში მაქვს. ის ისეთი მძიმეა, რომ, ალბათ, ფუტს მაინც იწონის. ახლა ცოტათი ღამიამდა ტკივილი. მე ყოველ წამს დაწვრილებით მახსენდება თხილამურებით ჩვენი სეირნობა.

იმის შემდეგ, როდესაც მე თვითონ დავრწმუნდი იურას სიმხდალეში, ერთბაშად ცუდ გუნებაზე დავდექი. ყმაწვილები მხიარულობდნენ და მღეროდნენ, მე კი მეზობელ ოთახში ვიჯექი მარტოდმარტო და ისე გულშემოყრილი ვიყავი, რომ ატირებას აღარაფერი მიკლდა. ფაიკამ მოიბრინა ჩემ წასაკვანად, მაგრამ მე ვუთხარი თავი მტკიუა და თხილამურებით უნდა გავისეირნო მეტქი.

— წადი, მაგრამ ცოტა ხნით. საღამოს 9 საათზე მივდივართ, — მითხრა ფაიკამ.

მე ნებართვა ვთხოვე ვლადიმირ სოლომონოვიჩს. მან მხოლოდ ნახევარი საათით გამიშვა. ავიღე თხილამური, ყელზე ფაიკას შარფი გავიკეთე და ბაზიდან გავედი. უკვე ღამდებოდა. მე სწრაფად მივსრიალებდი თხილამურებით, მინდოდა კარგ გუნებაზე დავმდგარიყავ. ძალიან ციოდა. ყინვა ლოყებს წვადა. ხეები თოვლით იყო დაფარული. უეცრად დავინახე ძალიან კარგი გორაკი. გორაკი მაღალი. არ იყო, მაგრამ საკმაო დაქანება ჰქონდა. აქა-იქ ნაძვები იყო.

მე ვავიფიქრე: „გორაკიდან ჩამოვსრიალდები და უკან დავბრუნდები, ძალიან ცივა“.

ავედი გორაკზე, მწვერვალზე ცოტა შევისვენე, მერე ღონივრად გამოვექანე და დავეშვი. მე ისე სწრაფად მოვექროდი, რომ ქარი გამწიოდა ყურებში და ორივე მხარეს ჰაერში აღიოდა თოვლი. უცებ ვიგრძენი, რომ თოვლმა აშოპივსო თვალები. მე ერთი წუთით დავხუჭე თვალები და აღარც ვამხსრუტებდი. როდესაც თვალები გავახილე, დავინახე, რომ პირდაპირ მაღალი ნაძვისაკენ მივექროდი.

„მარცხნივ, მარცხნივ“ — გამაელვო თავში, მაგრამ უკვე გვიან იყო. მე ისე დავეჯახე ნაძვს, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოპოცვიდა. მარჯვენა თხილამური შუაზე გადატყდა. მე სადღაც ქვევით დავვარდი და საშინელ ტკივილს ვგრძნობდი ფეხში. მეტი არაფერი მახსოვს.

როდესაც გონს მოვედი, იურა დავინახე. ის დაჩოქილი იდგა და თოვლით მიხელდა შუბლს. იმ წუთს მე სრულიადაც არ გამეკირვებია, თუ როგორ გაჩნდა იურა ტროიცი ტყეში...

იურა ფრთხილად მხდიდა წინდას, მე ტკივილისაგან ვკვნესოდი.

— ლიდა, ძალიან გტკივა? — მეკითხებოდა იურა. — ცოტა მოითმინე, მე ცივას გავაკეთებ თხილამურებით და ბაზაში წავიყვან.

მან გაიხადა თავისი თბილი ქურთუკი და მე შემომახვია. მერე თოკით შეკრა თავისი თხილამურები (თოკი ჯიბეში აღმოაჩნდა) და თოკის წნულზე დააწყო ნაძვის ტოტები. ციკის მავგარი რაღაც გამოვიდა. იურამ აბ ცივაში ჩამაწვინა. მე ისე მეტკინა, რომ დავიყვარე:

— არა, არა, სჯობს აქ დამტოვო!
— შენი დატოვება არ შემიძლია, იმიტომ, რომ

გაიყინები.—და მან წაათრია ციგა, თოკის მაგიერ თხილამურის ჯოხით მიმართედა. მე ძალიან მტკიოდა, განსაკუთრებით ოღროზოღროებში, მაგრამ ვცდილობდი არ შეკენესა, როდესაც გავახელდი თვალებს და ვხედავდი იურას მოხრილ ზურგს, თხელი ფლანელის პერანგის ამირას.

გზა დაუსრულებელი იყო. ეტყობოდა, რომ იურას უჭირდა ისეთი მძიმე პერსონის ზიდვა, როგორიც მე ვარ. როდესაც ის ერთი წუთით შეჩერდა შესასვენებლად, მე ვკითხე:

— იურა, შენ როგორ გაჩნდი აქ?

— მე დავინახე, როგორ გამოხვედი ბაზიდან, და გადავწყვიტე უკან გამოვყოლოდი. მე შენთან მოლაპარაკება მინდოდა, მაგრამ შენ ისე მიქროდი თხილამურებით, რომ მე ძლივს მოგყვებოდი... ეჰ, წავედით.

და მან კვლავ წაათრია ციგა.

არ მახსოვს, როგორ მიმართია იურამ ბაზაში, არ მახსოვს, როგორ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების კარეტა. მახსოვს მხოლოდ, რომ თეთრხალათიანმა სანიტრებმა საკაცით გადამიყვანეს კარეტაში და მე ვხედავდი ბავშვების შეშინებულ სახეებს.

მერე აქ მომიყვანეს, საავადმყოფოში.

22 თებერვალი. საღამო.

ჩემ პალატაში ჩემს გარდა კიდევ ოთხი ბავშვი წევს. ერთი გოგოა, რომელსაც მუცელი აკერილი აქვს აპენდიციტის შემდეგ, სამიც ბიჭია, გადატეხები აქვთ.

დღეს მიღების დღეა. დღის ორი საათიდან დაიწყეს ნათესაებებმა მოსვლა.

ყველა ბავშვს ესტუმრნენ მშობლები. ჩემთან კი არავინ მოვიდა. ძალიან მეწყინა, თანაც ფეხი საშინლად მტკიოდა. „დამივიწყეს. ყველამ დამივიწყა“— ვფიქრობდი მე და ვიწყე თვალებდახუჭული. კბილებს კი ერთმანეთს ვაჭერდი. უცებ ჩემ საწოლთან გაისმა რაღაც ფაჩუნნი. ავახილე თვალები და დავინახე დედა და მამა, თეთრი ხალათებით.

— უჰ, როგორ შეგვაშინე, ლიდაკა.— მითხრა მამამ და როგორღაც სევდიანად გაიღიმა.

დედამ ჯიბეებიდან ამოალაგა ვაშლები, კონფეტები და მთელი გროვა ბარათები.

— ესენი ბავშვებმა გამოგიგზავნეს სკოლიდან,— მითხრა დედამ.

საშინლად გამეხარდა ჩემი საყვარელი, ძვირფასი მოხუცების ნახვა. აბა როგორ გავიფიქრე, თითქოს მათ შეეძლოთ ჩემი დავიწყება!

ნახევარმა საათმა შეუმჩნევლად გაიარა. მე ვცდილობდი მეცინა და მეხუმრა, რომ დედა და მამა ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ძალიან მტკიოდა ფეხი.

— შენ ყოჩალი ხარ,— მითხრა წასვლისას მამამ. მე ვამაყობ შენით, ჩემო გოგონა...

ეს სიტყვები ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იყო. როცა ისინი წავიდნენ, მე ნელნელა დავიწყე ბარათების კითხვა, რომ გამეხანგრძლივებინა სიამოვნება.

აქ იყო ბარათები ვარიასი, ნადიასი, ბორისის (მიშკასაც კი დაეჯღაბნა რაღაც სურათი) და თითქმის ოცდაერთი ბარათი სკოლიდან.

აი რას მწერდა ფაიკა:

„საყვარელო ლიდა, საშინლად ველეხები შენზე მთელი სკოლა ლაპარაკობს ამ უბედურ შემთხვევაზე, შენ ფეხზე. ვლადიმირ სოლომონოვიჩი კი ისეა შეწუხებული, რომ კიდევ გახდა. ცხადია, მას სწყინს, რომ ეს მოხდა მის მიერ მოწყობილ თხილამურებით გასეირნებაზე. იცი, ლიდა, არ შემიძლია იმ წუთის დავიწყება, როდესაც ჩვენ გამოვეცვიდით ბაზის პარმალზე და დავინახეთ სიცვი-საგან გალურჯებული ტროიცი და შენ, ნადვის ტოტებზე უგრძობლად მწოლარე. ესეც შენი მატყლია! არავინ არ მოელოდა მისგან ასეთ გმობას. ვლადიმირ სოლომონოვიჩი გადაეხვია და უთხრა:

— ჩემი სახელით და ყველა ყმაწვილის სახელით მაღლობას გიცხადებ შენი ვაჟკაცური და კეთილშობილი საქციელისათვის...

როდესაც კარეტა მოვიდა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ტროიციკის ერთი ლოყა მოყინული ჰქონდა (მაშინვე დავუზილეთ თოვლით).

აბა, ლიდა, მალე გამომთელდი.

გკოცნი მილიონჯერ, შენი ფაინა“.

24 თებერვალი.

ეს წუთია წავიდა იურა. თურმე მეორედ მოსულა საავადმყოფოში, პირველად არ შემოუშვიათ. ნასადილევს მურაბიან მანის ფაფას ვათავებდი, რომ უცებ შემოვიდა მომვლელი ქალი და თქვა: ვიღაც ვაფი კითხულობს ლიდა კარასევასო. მე კინალამ დამახრჩო მანის ფაფამ და დავიყვირე: „მე ვარ ლიდა კარასევა, აქ მოვიდეს!“ ერთი წუთის შემდეგ გაიღო კარი, და პალატაში შემოვიდა იურა გრძელი თეთრი ხალათით, რომელიც მას დიდის შესახედაობას აძლევდა, და მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ იურა ლამაზი ბიჭია.

ის ჩემი საწოლის მახლობლად დაჯდა. პირველად არ ვიცოდით რაზე გველაპარაკა და მხოლოდ მივჩერებოდით ერთმანეთს. მე მრცხვენოდა, რომ თმები გაკრეპილი მქონდა და ასე უშნო ვიყავი, და ბოლოს გადავწყვიტე მეთქვა, რაც მაწუხებდა ამ დღეებში.

— იურა, მაპატიე. მე მაშინ ყველა ბავშვთან ვაწყენინე, მხდალი დავიძახე. მაპატიე. თუ შეგიძლია...

— მე შენზე გულმოსული არა ვარ,— წყნარად მითხრა იურამ.— ვაკულინს კი აი რატომ არ ვლევ: მე მესმოდა მისი განაწყენება და გაბოროტება. წინააღმდეგობაზე ხომ მის მაგიერ მე ამომიჩიე კედლის გაზეთის რედაქტორად.

ჩვენ გაეჩუმდით. შემდეგ ვთხოვე ეამზნა თუ რა ახალი ამბებია სკოლაში.

იურამ მითხრა: ძალიან მომწონს რედკოლეგიაში მუშაობა, ახლა მეგობრულ პაროდებს ვწერ ბავშვებზე, ჩემი კლასის მოწაფე ბელიაევმა ორთქლმავლის მოდელი გააკეთა, რომელსაც რადიოთი

მართაყდნენ და ზვალისათვის დახიმულთა ჩვენნი
რაიონის ყველა სკოლის შეჯიბრება ფრენბურთშიო.

— საინტერესოა, სკოლის გუნდში ვინ ითამაშებს ჩემს მაგიერ? — ვკითხე მას. — იურა, ნუთუ მე ვერასოდეს ვეღარ ვითამაშებ ფრენბურთს?

— რა სისულელეა, რასაკვირველია, ითამაშებ.

— მე ხომ კოჭლი ვიქნები.

— ეგ კიდევ ვინ იცის.

— აქ გავბედე და ვკითხე.

— იურა, ვთქვით, მე დავკოჭლდი. მითხარი, შენ ხომ წინანდებურად მომექცევი, ჰა? მავალითად, ხომ არ შეგეზარება კოჭლ გოგოსთან ერთად წასვლა კინოებში?

იურა გაბრაზდა და გულმოსული ხმით მითხრა:

— ლიდა, როგორ არა გრცხვენია! შენ კარგად არ მიცნობ, ასეთ სულელურ კითხვებს რომ მაძლევ. შენთვის ორივე ფეხიც რომ გადაეჭრა ტრამვაის, მე მაინც შენი მეგობარი ვიქნებოდი.

ძალიან მესიამოვნა ამ სიტყვების მოსმენა.

11 მარტი

რა სიხარულია! მე სიარული დავიწყე და ოდნავ ვკოჭლობ. ექიმმა თქვა, კოჭლობა თანდათან სავსებით გაქრებაო. მეშინია კიდევ დავიჯერო მისი სიტყვები. ერთი კვირის შემდეგ გამოვეწერები საავადმყოფოდან.

23 მარტი.

მე კვლავ შინ ვარ. გუშინ ბორისმა და ტანიამ მომიყვანეს საავადმყოფოდან. რასაკვირველია, მე შემედლო ქვეითად მოვსულიყავი ტრამვაილის. მაგრამ ასე უფრო ზემური იყო. როდესაც შინ მივედი, ყველა მეზობელმა ქალმა მოიბრინა ჩემ სანახავად. ყველანი ხელით სინჯავდნენ ჩემ შეხორცებულ ფეხს და მაიძულებდნენ ოთახში გამეარა. მე ცოტათი კიდევ ვკოჭლობ. მაგრამ ექიმმა პატიოსანი სიტყვა მომცა — ეს გაივლისო. მე ვგრძნობ, რომ ახლა უკვე შევძლებდი ფრენბურთის თამაშს.

შინაურები ყველანი დიდ მზრუნველობას იჩენენ ჩემზე.

როდესაც სადილად დავსხედით, მამამ მითხრა ახალი ამბავი, რომელიც ყველას სცოდნოდა, ჩემს გარდა: თურმე, ქარხკომმა, რაც გაიგო ჩემი ავადმყოფობა, მამას მისცა ყირიმის საგზური, რომ გამოსაჯანმრთელებლად გამგზავნონ იქ.

— ერთი თვით წახვალ იალტაში, იქ ახლა უკვე გაზაფხულია, ნუში ყვავის, — მითხრა ნადიუშამ. სკოლას რა ვუყო? მე ხომ ისედაც ერთ თვეზე მეტი გამიცდა.

მამამ მითხრა — გუშინ ვიყავი სკოლაში და დირექტორ ქალს ველაპარაკეო. სკოლა თანახმაა ჩემ გამგზავრებაზე. მე მერვე კლასში გადამიყვანენ

იმ პირობით, რომ შემოდგომაზე უნდა ჩავბრუნდეთ განმეორებით გამოცდა.

მე არც კი მჯერა, თუ 25-ს მივდივარ ყირიმში, რომლის შესახებ ბევრი რამ გამიგონია. მე წინანდელი თვი დავესწრები გაზაფხულს!

25 მარტი

ეს-ეს არის ვასცილდა ბაქანს მატარებელი. აუარებელმა ხალხმა გამომაცილა: ბორისმა, ნადიამ, იურამ, ფაიკამ, ეგოროვმა, პტიცინმა, კოლესნიკოვამ, მირა კოვანმა და ასტახოვიჩმა. ახლაც კი ყურებში მიწვივის მათი ხმები:

— გამოკეთდი, კარასიხა! მოგვწერე, ლიდა! როდესაც მატარებელი დაიძრა იურა შემოხტა ვაგონის საფეხურზე და წიგნი მომაჩეჩა ხელში.

— გზაში წაიკითხე! — დამიყვირა მან და დაძრული მატარებლიდან გადახტა.

სადგური უკან დარჩა. მე ჩემ ადგილს მივაშურე და უკვე სავსებით დიდ ადამიანად მიმაჩნდა თავი (იმიტომ, რომ პირველად გმგზავრობდი მარტო).

ვაგონში მყუდროებაა. მაგიდებზე მწვანე შუქფარებიანი ლამპები ანთია. გამყოლები ქვეშაგებებს ამზადებენ. მე მარტო ყოფნა მომინდა. გავედი დამბურაში და ფანჯარასთან გავჩერდი. აქ გადავშალე წიგნი — ეს იყო ჯეკ ლონდონის მოთხრობები. შიგ იდვა რალაც ბარათი. მე წავიკითხე:

„ლიდა! სადგურზე ალბათ, ვერ მოვასწრებ შენთან მოლაპარაკებას. მინდა ჩემი სიხარული გაგიზიარო: დღეს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კამჩატკიდან მივიღე მამაჩემის წერილი. მწერს — ივლისში ჩამოვალ ლენინგრადში და თან წაგიყვანო. მე ბევრჯერ მითქვამს შენთვის! თუ რა ძლიერ მიყვარს მამა, და შენ გაიგებ ჩემ სიხარულს. მე ხშირად მოგწერ ყირიმში, შენი დაბრუნების მოლოდინში ვიქნები და ვიფიქრებ იმაზე, თუ როგორ დავამთავრებთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს და ერთად წავალთ სადმე შორეულ ექსპედიციაში.


არ დაივიწყო შენი ერთგული მეგობარი იურა (ყოფილი „მატილა“).

წავიკითხე ეს ბარათი და უცებ ისეთი ბედნიერება ვიგრძენი, რომ ალბათ, მთელ მატარებელში არ მოიპოვებოდა ჩემსავით ბედნიერი გოგონა.

მე ცხვირით მივაწეე ფანჯრის მინას და დიდხანს ვფიქრობდი ყოველივე კარგ რამეებზე, რაც მე წინ მელოდა: სამხრეთში მგზავრობაზე, ზღვასთან და მზესთან, ჩვენს ბავშვებზე, იმაზე, რომ მალე შევძლებ ფრენბურთის თამაშს, იურასთან მეგობრობაზე, რომ მე და ის უქველად წავალთ ექსპედიციაში და არასოდეს არ დავშორდებით ერთმანეთს.

მატარებელი კი სულ უფროდაუფრო სწრაფად მიმაქროლებდა...

თარგმანი შ. თაბუჯაშვილისა



ქართული ნაწარმოები

პატარა ბევრია, მაგრამ ჩემზე მცირე სიდიდის საშუალოში არათუ არაა მოიძებნება. როგორ ვთქვა, როგორ გაგაგებინოთ, ბავშვებო! მე ერთი მსუბუქი წყალბადის ატომი ვარ. არავის არ უნახავარ თვალთ. მიკროსკოპით მე ვერ დამინახავთ, თუმცა ყოველ ნაბიჯზე გხედებით: წყალში, ჰაერში, დედამიწაში და თქვენს ორგანიზმშიც.

რამდენი ათასი მილიონი წელი იარსება დედამიწამ, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, როცა წარმოიშვა დედამიწაზე გონიერი ადამიანი, მაგრამ ჩვენ ვინ გვიცნობდა! ბერძენმა ფილოსოფოსებმა ამცნეს ქვეყანას პირველად, რომ ატომები ვარსებობდით. დავარქვეს განუყოფელი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს სახელი სრულიადაც არ შეფერება არა თუ სხვა ატომებს, რომლებსაც გაცილებით ჩემზე უფრო რთული მოწყობილობა აქვთ, არამედ არც მე, ყველაზე უმსუბუქეს და უმცირეს წყალბადის ატომს.

აბა, რა სირთულე და მოწყობილობა უნდა ჰქონდეს ჩემისთანა მცირე სიდიდის მქონე უჩინარ ნამცეცს, რომელსაც ვერასდროს მიკროსკოპით ვერ დაინახავთ. ბაქტერია დედამიწის ოდენა რომ გაიზარდოს, მე მხოლოდ პატარა ბილიარდის ბურთობის ოდენა გავხდები. ასეთი ვარ სიდიდით, ასე უმნიშვნელო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩემი სხეული მარტო ერთი ნაწილისაგან შედგებოდეს. ჩემს გულს ფიზიკოსებმა პროტონი დაარქვეს და ჩემს მთვარეს კი ელექტრონი. სასაცილოდ მოგეჩვენებათ. მე თითქმის სულ მივბაძე დედამიწას მოწყობილობითა და მოქცევით. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთვარე მცირეა დედამიწაზე, როგორც წონით, ისე მოცულობით, და უფლის დედამიწას გარშემო. ჩემი მთვარე კი, ელექტრონი, მოცულობით პროტონზე ძლიერ დიდია, მხოლოდ წონით კი პროტონზე ორიათასჯერ მსუბუქი. ყველაზე მცირე წონის სხეული თუ გინდათ წარმოიდგინოთ, ეს ელექტრონია. ამაზე მცირე წონა არათუ არა აქვს.

ელექტრონი უზარმაზარ ღრუბელივით მაწვებს თავზე. ჩემგან კარგი მანძილითაა მოშორებული. სრიალებს ჩემი ელექტრონი პროტონის ირგვლივ, სრიალებს, მაგრამ სულ ისე არ იქცევა, როგორც დედამიწა მზესთან შედარებით, ან მთვარე დედამიწასთან შედარებით. ხანდახან ხდება ისე, რომ ასცდება გზას ელექტრონი და დაეჯახება პროტონს. ეს ისე უცებ და ხანმოკლე დროში მოხდება, რომ გამორკვევასაც ვერ ვასწრებ. უცებ გავგულისდები, გავთბები და ისევ შორს გავისვრი

ჩამოვარდნილ ელექტრონს პროტონის ირგვლივ სასრიალებლად. უნდა იცოდეთ, რომ ეს კატასტროფა უფნებლად მიმდინარეობს, ისე რომ არავის ამ დაჯახების არ ეშინია და არც არავინ ამას არ გეგულობს ჩვენს მეტი. ეს რომ რომელიმე პლანეტას დაემართოს, გასაგებია, რა შედეგიც მოჰყვება მას. უნდა გულახდილად გითხრაოთ: მე საშინლად მეძნელება მარტო ყოფნა. არც არასდროს არა ვართ ცალცალკე. მართლა, ხანდახან ქიმიკოსები და ფიზიკოსები გამოგვეყოფენ, გაგვაცალკეებენ, მაგრამ ჩემი მეორე ატომი თუ ვერ მოვნახე, უეჭველად სხვას შეეფეროდა ბელსაყრელი პირობების დროს. ამიტომ არის, რომ ხშირად მიხდება ყოფნა ხან ერთ, ხან მეორე ატომთან. ვინ დათვლის, რამდენი მილიარდი წლისა ვარ და ამ ხნის განმავლობაში სად არ ვყოფილვარ. რაც რომ დედამიწის სფეროში ამოვყავი თავი, სულ ყველგან გავძვერ-გამოვძვერი. განსაკუთრებით ერთგული ვარ წყლისა. მე მაშინ წყალში ვიყავი. ოკეანედან მოწყვეტილ—აორთქლებული, სხვა წყლის წვეთებთან ჩემი წყლის წვეთიც არხეინად დაცურავდა ჰაერში. უცებ გავარვარებული მეტეორიტი წამოგვეწია. ჩემი წყლის წვეთი დაშალა, ჩამომაცილა ჟანგბადს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოვნახე წყალბადის მეორე ატომი. შევერთდით, ე. ი. წყალბადის მოლეკულად ვიქვეცი, და განვავრძეთ ფრიალი ჰაერში.

ჩვენ ხომ ყველაზე უმჩატესი მოლეკულები ვიყავით ამ ჰაერში და ამიტომ სულ ზევით-ზევით მივფარვებოდით. იქნებ ძალიან დიდხანს გვესეირნა ასე წყლისაგან დამოუკიდებლად, რომ ერთ დღეს არ დაეჭეპა. ჩვენს შორის ჩამოიბრბინა უდიდესმა ელექტრონმაპერწყალმა. მისი სიგრძე 40 კილომეტრამდის აღწევდა. ამის შემდეგ მე ისევ წყლის მოლეკულაში ამოვყავი თავი ჩემს ამხანაგ წყალბადის ატომთან ერთად. ამ დღიდან დაწყებული ჩვენ, სამი ატომი (ორი წყალბადისა და ერთი ჟანგბადის), განვავრძობდით მოზაურობას. ახლა, ცხადია, მე დამოუკიდებლობა დაკარგული მქონდა. არავითარი ნიშანი წყალბადისა მე არ გამაჩნდა. წყლის მოლეკულის შემადგენელ ნაწილად ვადავიქვეცი და ყოველგვარ მის განკარგულებას ვასრულებდი.



ყინვის კრისტალები მინაზე.

ქანგბადის ატომი შედარებით მეტად რთული აგებულობისაა. გარდა პროტონის და ელექტრონისა მას ნეიტრონიც აქვს, რაც მე არ გამაჩნია. გულში მას აქვს რვა პროტონი და რვა ნეიტრონი, გულის გარეთ კი რვა ელექტრონი, ასე რომ ქანგბადს სულ რვა მთვარე აქვს. აქედან ორი უფრო ახლოსაა გულთან და ექვსი კი გულიდან მოცილებულია. ისევე დასრიალებენ ეს ელექტრონები გულის ირგვლივ, როგორც ჩემი ელექტრონი. ეჰ, საოცარია, რაც რომ წყალში მოვხვდი, ჩემი ერთადერთი ელექტრონი იმ ექვსს მიემატა, ასევე ჩემი ამხანაგისაც. ასე რომ ქანგბადმა ის ექვსი რგად გახადა, მე და ჩემი ამხანაგი კი უელექტრონოდ დავგვტოვა.

ვყავართ ასე მიზიდული. ძნელია დასხლტა მისი კლანჭებიდან. არც ქანგბადს უყვარს ცალკე არსებობა, თუმცა ჰაერში ცოტა ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი თავისუფალი ქანგბადის ატომი ვნახეთ. როგორც ჩვენი წყალბადის მოლეკულები მისწრაფიან ქანგბადისაკენ, ისე ქანგბადის მოლეკულებიც დიდ მისწრაფებას იჩენენ ჩვენკენ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ელექტრონაპერწყლის საშუალებით მეც და ჩემს ამხანაგსაც ორივეს მოგვძვრა თავიდან ჩვენი ელექტრონები და ქანგბადის უკანასკნელ ექვს ელექტრონს მიემატა.

როგორც ვითხარით, ამ დღიდან დაწყებული არ დამკლებია დედამიწა, მდინარე, ცხოველი, მცენარე, ზღვა და ოკეანე, რომ არ შემოვზაუროს. არ არის დიდი ხანი, რაც მე წყლიდან ელექტროდენის საშუალებით ისევ გამოიყვანე ერთერთ ქალაქში და დირიჟაბლში მომამწყვდიეს სხვა წყალბადის მოლეკულებთან ერთად. დიდი ხნის განმავლობაში მე იქ ქანგბადის ატომები და მოლეკულები არ მინახავს.

ინეწრებმა გამოიყენეს ჩვენი სიმსუბუქე და ეს ვეებერთელა ტვირთიც კი გავატანეს ამისშორებე დედამიწიდან; სამი კაცი დირიჟაბლში არხეინად გრძნობდა თავს, როცა ჰაერში საშინელი გრგვინვა გაისმა. დირიჟაბლი ნამსხვრევებად იქცა, და მე ისევ წყალში ამოვყავი თავი. ამის შემდეგ ინეწრები წყალბადზე მეტად გაწყრნენ და უწყინარი ჰელიუმი გამოიყენეს. თუმცა ჩემზე ორჯერ მძიმეა მისი მოლეკულები, მაგრამ მაინც ის ურჩევნიათ, რადგან აფეთქების შიში არა აქვთ. კარგახნის ხეტიალის შემდეგ ჩემი წყლის წვეთი ყინვარის თავზე მოექცა. ერთ დღეს მჭიდროდ მივეყარით წყლის მოლეკულები ერთმანეთს. ორთქლის მდგომარეობიდან სითხედაც ვერ მოვასწარით გადასვლა, რომ უცებ მშვენიერ ჩუქურთმიან თოვლის ყინულის კრისტალებში გავებით და დავიწყეთ ცვივნა ყინვარის თავზე.


ათი წლის განმავლობაში ვიყავი ტყვედ ამ კრისტალებში. ის კი სულ უფრო და უფრო

მჭიდროვდებოდა. ჩვენ ამბავი მოგვდიოდა, რომ ყინვარი იძვროდა. მაგრამ მეტად ნელა: 10 წლის განმავლობაში ძლივს გავიარეთ ვიწრო ხეობა, ჩვენი ყინვარის ადგილი კი სხვამ დაიჭირა. როგორც ვეუბნები დაუძვერი ყინვარის ბრქვალებს ერთ ზაფხულში რაკრაკით დავეშვი პატარა რუში, აქედან დიდ მდინარეში და ზღვაშიც ამოვყავი თავი. ამ ხნიდან დაწყებული ამხანაგები ბევრი გამოიკიცვალეთ. გვიან მოვწყდი ზღვის ზედაპირს და კარგახნის მოგზაურობის შემდეგ ნატახტარის მიდამოებში ჩამოვვარდი წყლის წვეთთან ერთად. აქედან მთელი რიგი მოგზაურობის შემდეგ, როცა ჩვენი ჯგუფი გამოქანდა თბილისისაკენ, პირველად ჩემს ცხოვრებაში გავიარე ქალაქის წყალსადენის მილები და მოვხვდი თბილისის მე-9 სკოლის წყალსადენის მილში.


ვინ იცის, რამდენ ხანს ვიქნებოდი ამ მდგომარეობაში, რომ ქიმიის მასწავლებელს არ გაეღო ოხკანი და არ გავეთავისუფლებინეთ ტყვეობიდან. სხვებთან ერთად მეც მოვხვდი ერთ მინის მოხრილ მილში, რომელსაც ამ მასწავლებელმა გოფმანის აპარატი უწოდა. კიდევ ტყვეობა. ცოტა არ იყოს არ მესიამოვნა. ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელმა ამ აპარატში სქელი სითხე ჩამოასხა. ეს ვოგირდის მჟავა არისო, — უთხრა მოწაფეებს. ყველას გავგიჟვირდა, ამდაგვარი მოლეკულები არავის არ ენახა. ავხედ-დავხედე: ეს ჩემთვის ნაცნობი მოლეკული იყო. სწორედ ასეთი მოლეკულები ჩამოვგირიეს წყალში მაშინაც, როცა მე წყლიდან გამოიყვანე დირიჟაბლისათვის. ვიცოდდი, რომ აქ რალაც უნდა მომხდარიყო, და სხვებთან ერთად მეც მივევარდი ამ მოლეკულთან.

ყველას ეუცნაურებოდა ვოგირდის მჟავას მოლეკულები, მაგრამ მაინც შემოიხვივნენ ირგვლივ. ერთმა მოლეკულმა მითხრა: რა მიზეზია, რომ ამ უცნაურ მოლეკულებს წყალბადის პროტონი ახლავსო, ამას ნატრიუმის ელექტრონმოცილებული ატომები უნდა ახლდესო. — არა, — ვუბასუხე მე, — ის ხომ გლაუბერის მარილის მოლეკულია, მაგნიური მოლეკულები არა მართო ყარაბუგაზის უბეში არის, საიდანაც შენა ხარ, ამ წყალშიც ბევრი არის-მეთქი. მართლაც, მიიარ-მოიარა ამ წყალში და წააწყდა გლაუბერის მარილის მოლეკულებს. ეს უცნაური ვოგირდის მჟავას მოლეკულები, ჩემო მეგობარო, საშიში მოლეკულებია. ახლა ჩვენ, ალბათ, რალაც-ას გვიპირებენ. ამ ამბით ყველა ერთხმად შემოვე-

სიეთ და ხელში ჩავიგდეთ მიშველი პროტონი. და ისე მოვუწყვეთ საქმე, რომ შუაში გავხლიჩეთ. პროტონი ჩემთან მეტად ახლოს იყო. მე ცნობისმოყარეობამ წამძლია და გამოველაპარაკე: „მეგობარო, როგორ მოხდა, რომ ასეთ უცნაურ კულს აკიდებინხარ?“ პროტონმა დაიწყო:



თოვლის კრისტალების ვარსკვლავები (გადიდებული).



სამი წელია, რაც წყალს დაგვიკლდი. ერთ დღეს, როცა არხებიანად დაცურავდა ის წყლის მოლექული, რომელშიაც მე ვიყავი, უცებ გასკდა, როცა გოგირდი სამი ატომი ჟანგბადით ჩამოვარდა წყალში, როგორც ყუმბარა. ეს იყო და ეს. ჩე ი წყლის მოლექული დაიშალა, და ის ერთი ჟანგბადი, რომელიც ჩვენ გვაკავებდა, გოგირდის სამს მიემატა და შვიდროდ მიეკრა მას. ბევრი ვეცადე, მინდოდა ისევ ჩემს ჟანგბადთან ვყოფილიყავ, მაგრამ ამოდ. გოგირდის ჟანგბადმა მეც და ჩემი ამხანაგი მეორე წყალბადიც მიგვიკრა გვერდზე, და ასეთ ტყვეობაში ვიყავი მანამდის, სანამ აქ ჩამოვვარდებოდით. აქ კი მუდამ გასაქცევად მყოფი ორივე პროტონი, როცა გზა ვიშოვეთ, გავიშალეთ, მაგრამ თქვენ დამიჭირეთ. ეს დღეც არასდროს არ დამავიწყდება, თქვა პროტონმა და მაცდურად გაისრიალა ისევ მისი კულისაკენ. ჩვენ გამოვედგენეთ და ისევ გამოვჭაჩეთ.

ჩვენ ამ ამბავში ვიყავით, როცა მასწავლებელმა აპარატს ორი ბოლოთი დენი შეუერთა. ყველანი შეშფოთდნენ, შეტორტმანდნენ და მყისვე დაეწყენენ ყველა პროტონი და ყველა მათი კუდი, ანუ, როგორც ამას ქიმიკოსები ეძახიან, გოგირდის მჟავას რადიკალები. ბევრი თქვენგანი ინატრებს ამ საოცარი ქარავნის ნახვას. რომ იცოდეთ, რა ლამაზია ასეთი ხიდი, რომელზედაც ელვისებურად მიქრიან ელექტრონები. მაგრამ ეს ხიდი მოძრავია და ნელ-ნელა მიდის დადებითი და უარყოფითი პოლუსისაკენ. ჩემდა უნებლიედ მეც მივყვები პროტონს უარყოფითი პოლუსისაკენ, ანუ, როგორც ამას უწოდებდა ის მასწავლებელი, კატოდისაკენ. უკვე კატოდთან ვართ. ცოტა ხანი დაეყავი, მაგრამ მაინც წარუშლელი შთაბეჭდილება დამჩა. სად იყო ამდენი თავისუფალი ელექტრონი, აქ რომ ვნახე! გადმოხტა ერთი ელექტრონი ჩემი პროტონისაკენ, დაახტა თავზე და დაიწყო სრიალი პროტონის ირგვლივ. უცებ გავვიძვრა ხელიდან წყალბადის ატომად გადაქცეული პროტონი. ჩემი წყლის მოლექული შეტორტმანდა და გასკდა. თვალწინ წარმომიდგა პროტონის ნაამბობი. მეც სწორედ ისევე მომივიდა, როგორც იმ პროტონს, რომელიც სულ რამდენიმე სეკუნდია რაც წყალბადის ატომად გადაიქცა. მე გოგირდის მჟავას საკუთრება გავხდი. დამატყვევეს ჩემმა ამხანაგმა წყლის მოლექულებმა და თანმიკვირდა, რომ ვერც კი მცნობდნენ. სულ რამდენიმე სეკუნდი—და მეც, ეს შიშველი პროტონი, კატოდთან აღმოვჩნდი. სკუპ! ელექტრონი უკვე ჩემს თაღზე სრბოლავს. ამას რას ვხედავ, ატომად გადავიქცევი! ავერ სხვა, მეორე, მესამე, მეოთხე... შევწყვილდით და დავიწყეთ სეირნობა ამ ვიწრო ჭურჭ-



მყინვარი, რომელიც იძვრის

ლის კედლებზე. ვიგონებ, თუ რამდენი ხანია, რაც მე ამ მდგომარეობაში არ ვყოფილვარ. ცოტა ხნის შემდეგ ვნახე, რომ ჩვენთან ჟანგბადის მოლექულების მთელი ჯოგი შემოვიდა. ვირვეით ერთმანეთში, მაგრამ ვერ შევერთდით, რამდენიმეჯერ სცადა ჟანგბადის მოლექულში მყოფმა ჟანგბადის ატომმა ჩემი ელექტრონის გადაბიძგვა, მაგრამ ვერ დამძლია, მეორე ჟანგბადის ატომმა დაუშალა. ვეძებდი ჩემს დაკარგულ ჟანგბადის ატომს, მინდოდა მომენახა ჩემი შეჩვეული ამხანაგი, რამდენიმე წელი ერთად რომ ვიყავით, ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე. რას ვნახავდი ამ ურიცხვ ჟანგბადის მოლექულში. ისინი ყველანი ერთმანეთს გვანან, როგორც ჩვენ, წყალბადის ატომები, ვგავართ ერთმანეთს. მასწავლებელი ამბობს: ამ ჭურჭელში ორი მოცულობა წყალბადი შევუშვი და ერთი კი ჟანგბადი. შუშას ფრთხილად ხელსახოცი შემოახვია, საცობი მოაძრო და მოკიდებული ასანთი მოიტანა ახლოს. მოწაფეები საშინლად შეშფოთდნენ და ყველანი ზებზე წამოვარდნენ მოულოდნელი აფეთქების გამო.—დაწყნარდით, — გაისმა მასწავლებლის ხმა. მოწაფეები თანდათან წყნარდებოდნენ, მაგრამ მე უკვე წყალბადის მოლექულში კი არა, წყალში ვიყავი. მე წყლად გადავიქცეი. წყალი ძლიერ მცირე წარმოიშვა, თქვენთვის ერთი წვეთიც კი არ იყო, მაგრამ ამ ერთ წვეთ წყალში ნეტავი რამდენი წყლის მოლექული იქნებოდა! ვუპასუხოთ იმ ცნობისმოყვარე მოწაფეს, ამ ბოთლს რომ ათვალეიერებდა, რომელშიც აფეთქება მოხდა. იცი, რამდენი, ჩემო თენგიზ?

იმდენი, რამდენიც წვეთი წყალი იქნება შავ ზღვაში. ჯერჯერობით, ყმაწვილო, ამ ჭურჭელში ვარ, შენ რომ ხედავ. მაგრამ, ვინ იცის, აწი სად წავალ, სად ვიფრენ. იქნებ შენთანაც მოვიდე, შენს ორგანიზმშიც დავიბუდო, მაგრამ შენ კი არ გეცოდინება, რომ მე ის წყალბადის ატომი ვარ, რომლის ხმაურმა ჟანგბადთან შეერთების დროს შენ ძლიერ შეგაშფოთა.





ვინ უფრო ნაკითხია?

(თამაშობა)

მონაწილეობენ ბავშვები, ვისაც ლიტერატურა უყვარს და მწერლების გვარები იციან.


მოთამაშებები შემოუსხდებიან მაგიდას, რაც მეტი იქნება უმჯობესია, ყველას უნდა ჰქონდეს ფანქარი და ქაღალდი. ერთ რომელიმე ირჩევენ ან თვითონ რომელიმე კისრულობს ხელმძღვანელობას და ასახელებს ერთერთ მწერალს, ვთქვათ დადიანს, ჩვენს მწერალს და უზენაესი საბჭოს დებუტატს. მონაწილეებმა უნდა დაწერონ მწერლების გვარი ერთიმეორის ქვეშ ისე, რომ მარცხნით ზევიდან

ქვევით გამოვიდეს დადიანი. მოვიყვანო მაგალითს:

დავითაშვილი.
არდაზიანი.
დოსტოვესკი.
იბსენი.
აბაშელი.
ნაკაშიძე.
ინგოროყვა.

მარცხნიდან, ზევიდან ქვევით, გამოდის დადიანი. ვინც უფრო ადრე შეასრულებს, ის არის მოგებული.

პასუხი „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ განკითხვაზე



კერაქცნიისკენ

ჭურ. „პიონერის“ № 10-ში მოთავსებული მასალის „კაშკაშებს დიადი ოქტობრის მზე“ (მე-4 ზვ.) დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ასე:

„სულ რამდენიმე ათწლეული წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში...“ და შემდეგ როგორც არის.

გუგუღი

შესრულა თამარ შახოვაშვილი

Moderato.

PIANO

p